პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! დღიური გაზეთი

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და ტფ. კომიტეტების და საქ. მაკის ორგანო

ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოვალის—23—17, სამდივნოს—10—55, მთ. კანტორის—8—31.

ხუთშაბათი
17
მაისი
1934 წ.
№ 113 (3969)

დღეს ნომერში

— ამხ. მ. მ. ლიტვინოვი საზღვარგარეთ გაემგზავრა.
— ლატვიაში გამოცხადდა სამხედრო წესები.
— იტალიამ, ავსტრიამ და უნგრეთმა ხელი მოაწერეს ეკონომიურ შეთანხმებას.
— საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აზნაურთის მუშათა-ბის შესახებ.
— სამხრეთ-ოსეთმა დაამთავრა საგაზაფხულო-თესვა.
— მარგანეცის გამომუშავების გეგმა 14 მაისს შესრულდა 104,5 პროცენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაის კრეფასა და დამუშავებაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს გარდატეხა

ჩვენ შევიდით ჩაის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის მეტად საპასუხისმგებლო პერიოდში. უკვე მასობრივად მიმდინარეობს როგორც ჩაის პლანტაციების დამუშავება და მწვანე ფოთლის კრეფა, ისე ნედლი ჩაის გადამუშავება. დაახლოებით ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული სამუშაოები დაიწყო. ჩაის ხაზით 10 მაისამდე ჩატარებულ ყველა სამუშაოთა ცნობები უკვე შეჯამებულია. ეს ცნობები მოწმობენ, რომ ჩვენ მეტად **ხერხიოზული გარემოება გვაქვს, თითქმის ყველა ძირითად სამუშაოთა ხაზით.**

ავიღოთ მაგალითად ჩაის პლანტაციების **დამუშავების** მიმდინარეობა. 10 მაისისათვის **საბჭოთა მეურნეობებს** პლანტაციების პირველ დამუშავების გეგმა შესრულებული ჭიათურის ტრესტის **კოლმეურნეობებს** კი 22,5 პროც. არ აღ! ჩაის არცერთი რაიონი, სადაც ჩაის პლანტაციების დამუშავება ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდეს.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა შესრულებული აქვთ საბჭოთა მეურნეობებს 34 პროც. კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს კი 22 პროცენტით.

ჩაის კრეფის ტემპით ჩამორჩენა მარტო გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლების მხრივ როდია. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეობების, სამ. სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა და საბჭოთა მეურნეობების მიერ **სათანადო ყურადღება არ ექცევა ჩაის კრეფის ხარისხს** და მწვანე ფოთლის გადაზიდვა-შენახვას. ამის გამო ადგილი აქვს მოკრეფილი მწვანე ფოთლის ჩახურება-დაწვნასა და ჩაის ხარისხის გაფუჭების მრავალ შემთხვევას. ჩაის კრეფის დაწყებიდან დღემდე აღრიცხულია 136 კილოგრამი მწვანე ფოთლის დაწვნისა და 10.000 კილოგრამის ხარისხის გაუარესება. ჩაი მწვანე ფოთლის დაღუპვის ყველაზე უფრო აღმაშფოთებელ ფაქტებს ადგილი ჰქონდა **ოზურგეთის** ჩაის ფაბრიკაში. რაც გამოწვეული იყო ამ ფაბრიკის დირექტორის **ნემხაძის** და მისი მოადგილის **ცინცაძის** ბიუროკრატიული და უსულგულო დამოკიდებით საქმისადმი.

არც ჩაის ფაბრიკებია დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა: ძალზე გვიან დამთავრდა **ოჩამჩირის** ფაბრიკის მოწყობა; დამხარისხებელი და სახმობი საამქრო ზუგდიდის და ჩოხატაურის ფაბრიკებში ჯერაც არ არის მოწყობილი. მოტორების უქონლობის გამო გაჩერებულია ბობოყვათის ჩაის თაბრიკის საგრეხი საამქროს როლერების უმრავლესობა. „საქართველოს ჩაიმ“ ვერ შესძლო მწვანე ფოთლის მიძღები პუნქტების და მოკრეფილი ჩაის გადაზიდვის წესიერად მოწყობა, რაც იწვევს ერთის მხრივ ზოგიერთი ფაბრიკების არა სათანადოდ დატვირთვას და მეორეს მხრივ მთელ რიგი ფაბრიკების გადატვირთვას.

ყველა ამ ჩამორჩენის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ **ჩაის რაიონების პარტიული ორგანიზაციები და პოლიტგანყოფილებები არ უწევენ ყოველდღიურ, სიტემატიურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ჩაის გეგმების შესრულებაში.**

წალენჯიხის, გალის, სენაკის, ოზურგეთის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში ჩაის კრეფაზე გამოდიან მხოლოდ ქალები და მოზარდები. მამაკაცები კი იშვიათად იღებენ მონაწილეობას ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში. ადგილობრივი პარტორგანიზაციები კი დუმილით უვლიან გვერდს ამ ფაქტს და არ იღებენ ჭადამჭრელ ზომებს იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ ჩაის კრეფაზე **ქალებთან და მოზარდებთან ერთად ყველა შრომის უნარიანი მამაკაცის** გამოყვანა.

ჩაის სამუშაოთა ჩამორჩენა განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებს და ჩაის ფაბრიკებში გამოწვეულია მით, რომ „საქართველოს ჩაიმ“ ვერ უზრუნველჰყო საბჭოთა მეურნეობებისა და ფაბრიკებისათვის კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა. ამით აიხსნება ის, რომ საქართველოს ჩაი ვერ იყენებს ისე, როგორც საჭიროა, მის განკარგულებაში მყოფ ჩაის ფაბრიკებს, ავტოტრანსპორტს, მექანიზმებს და ჩაის წარმოებისათვის საჭირო პირველხარისხოვან მოწყობილობებს.

საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო დავალებათა შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი მუშა-ხელის ნაკლებობაში მდგომარეობს. **ხონის** ჩაის საბჭოთა მეურნეობა მუშა-ხელის მწვავე ნაკლებობას განიცდის 1933 წლის შემოდგომიდან. მეურნეობის ხელმძღვანელები კი მუშების შესაგროვებლად მხოლოდ ახლა, პლანტაციების დამუშავებისა და ფოთლის კრეფის დაწყების შემდეგ „დაფაცურდნენ“.

ჯოლეჯიანის საბჭოთა მეურნეობაში ამჟამად აქვს ადგილი მუშების დენადობას იმის გამო, რომ იქ ვერ შესძლეს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების **სათანადოდ** გაუმჯობესება. ორივე ეს საბჭოთა მეურნეობა კი **ჩაის** გეგმების საუკეთესოდ შესრულებაზე სოც-შეჯიბრებაში ჩაბმული და მიღებული აქვთ ვალდებულება ჩაის სამუშაოთა ვადაზე და მაღალ ხარისხოვნად შესრულე ბისათვის.

დროა გადაჭრით ბოლო მოეღოს ხმაურს, ლაყბობას და ლიტონ დაპირებებს ჩაის გეგმების შესრულების შესახებ. დროა ჩაის რაიონების პარტრაიკომებმა, პოლიტგანყოფილებებმა და სამინანო სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა **საქმით, მტკიცედ, ბოლშევიკური მონდომებით მოკიდონ ხელი ჩაის გეგმების შესრულებას.** დროა „საქართველოს ჩაიმ“ ახალ ამოცანებთან შეფარდებით გარდაქმნას თავისი მუშაობა და უზრუნველჰყოს ადგილებისადმი **ცოცხალი, ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა.**

იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას ჩაის დამუშავებისა და კრეფის დავალებები უპირველესად ყოველისა საჭიროა **შრომის მოწესრიგება** ჩაის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. სწორი გამომოშავების ნორმების დაწესება და ბრძოლა იმისათვის, რომ ეს ნორმები ყოველ დღიურად სრულდებოდეს თითოეული კოლმეურნისა და საბჭოთა მეურნეობის მუშის მიერ წარმოადგენს **პირველი რიგის ამოცანას.**

ჩაის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს პლანტაციების გაშენებისათვის ბრძოლაში. ახლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სანიმუშოთ მოუაროთ პლანტაციებს, **სასწრაფოდ, მუშაობის პროცესშივე გამოვასწოროთ ჩაის დამუშავებისა და კრეფაში არსებული სერიოზული ჩამორჩენა, უდანაკარგოთ ავილოთ მოსავალი, ბოლშევიკურად ავითვისოთ ჩაის ფაბრიკები და მივცეთ საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს მეტი საუკეთესო ხარისხის ჩაი.**

ლატვიაში გამოცხადდა სამხედრო წესები

რიგა, 16 მაისი. ლატვიაში გამოცხადდა სამხედრო წესები.

ვარშავა, 16 მაისი. ლატვიიდან მიღებული ცნობებით, დღეს ღამით მთავრობის ყველა წევრი რიგაში სამხედრო რაზმებმა დაიკავეს. გამოქვეყნდა პრეზიდენტის და სამხედრო მინისტრ ბალოდისის განკარგულება მთელს ქვეყანაში ნახევარი წლით სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ. ამავე დროს შეწყვეტილ იქნა სეიმის მუშაობა „კონსტიტუციის „რეფორმის“ გატარებამდე. დაიპატიმრეს პარლამენტის ყველა ფრაქციის ბელადი, აგრეთვე სეიმის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი კალპინგი. სოციალ-დემოკრატების „სახალხო სახლი დაკავებულია ჯარების და აისარგების მიერ (ნახევრად-სამხედრო რეაქციული ორგანიზაცია). დაშალეს ყველა პოლიტიკური პარტია.

მთავრობის ცნობაში, რომელსაც ხელს აწერენ ულმანისი და ბალოდისი, სამხედრო წესების გამოცხადება დასაბუთებულია „სეიმის უუნარობით გადაწყვიტოს საჭირბოროტო ეკონომიური პრობლემები“. ამასთან აღნიშნულია, რომ მთავრობა შინაპოლიტიკურ გართულებებს აღმოფხვრის „მის გაკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით“.

როგორც ატყობინებიან, ულმანისმა და ბალოდისმა გადატრიალება მოახდინეს სამხედრო ძალების, პოლიციის და ლატვის სხვადასხვა პუნქტიდან რიგაში თავმოყრილ აისარგების მონაწილეობით. რკინისგზის სადგურები და ხიდები დაკავებული და დაცულია სამხედრო რაზმების მიერ. (ადს).

საბჭოთა კავშირი და ლატვია

ლატვიის სეიმმა დაამტკიცა შეთანხმება თავდაუსხმელობის ხელშეკრულების განმარტების შესახებ

რიგა, 16 მაისი, გუშინ თავის უკანასკნელ სხდომაზე სეიმმა დაამტკიცა შეთანხმება საბჭოთა კავშირთან დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების 10 წლით გაგრძელების შესახებ. (ადს).

ამხ. მ. მ. ლიტვინოვის გამგზავრება

მოსკოვი, 15. მაისი. გუშინ საღამოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი. ლიტვინოვი ჟენევაში მონაწილეობას მიიღებს განიარაღების კონფერენციის ბიუროს და გენერალური კომისიის სესიაში. (ადს).

იტალიამ, ავსტრიამ და უნგრეთმა ხელი მოაწერეს ეკონომიურ შეთანხმებას

რომი, 14 მაისი. სტეფანის სააგენტოს ცნობებით, მუსოლინიმ, ავსტრიის ელჩ. რომში რინტელენმა (ავსტრიის დელეგაციის თავმჯდომარე) და უნგრეთის ელჩმა ვოლანიმ (უნგრეთის დელეგაციის თავმჯდომარე) ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებებს, რომლებიც „წარმოადგენენ იტალიასა, ავსტრიასა და უნგრეთს შორის 17 მარტს რომში ხელმოწერილ ეკონომიური ოქმების პრაქტიკულ შედეგს. (ადს).

მანჯურიის გემის გამოშვებული მოქმედება ამურის საბჭოთა ნაპირთან

ბეიპინი, 15 მაისი. დეპეშათა სააგენტო „კოკუცუ“ ხარბინიდან იტყობინება, რომ საბჭოთა მოსაზღვრე რაზმმა სროლა აუტეხა სუნგარიის და ამურის შერთვის ზემოთ 10 კილომეტრის მანძილზე მანჯურიის გემს, რომელზედაც იაპონიის საჰეტრო რაზმი იმყოფებოდა. საგენტოს ცნობით, გემზე მოკლულ იქნა მანჯურიის ერთი მეზღვაური და ერთიც დაიჭრა. იაპონიის ჯარების სარდლობა შეუდგა ინცენდენტის ვითარების გამოკვლევას და ამავე დროს მიმართა საბჭოთა ხელისუფალთ სროლის ატების მიზეზი და გამორკვევის მოთხოვნით (ადს).

ხაბაროვსკი, 15 მაისი. 12 მაისს, მანჯურიის გემი „დიჩენ“ მიდიოდა ამურზე ზემო მიმართულებით; მდინარეში ჯანის შესართავთან იგი მიუახლოვდა საბჭოთა ნაპირს; გემზე მყოფმა პირებმა აშკარად დაიწყეს საბჭოთა ნაპირისა და სანაპირო მცველი რაზმის საგუშაგოების ფოტოგრაფიული გადაღება.

საგუშაგომ ეს რომ შენიშნა, გემს წინადადება მისცა გაჩერებულიყო. გემის მეთაურმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა და ორ საათზე მეტ ხანს მიჰყვებოდა საბჭოთა ნაპირს. ამის შემდეგ საგუშაგომ გემს ორჯერ ესროლა ზემოდან. გემი გაჩერდა, საგუშაგომ გემზე სამჯერ დაცალეს უტყვიო ტოფი გაფრთხილების მიზნით. მიუხედავად ყოველივე ამისა, გემი განაგრძობდა თავის კურსს საბჭოთა ნაპირთან.

გემის სავალ გზაზე მყოფმა სანაპირო დაცვის მეორე საგუშაგომ იმავე მიზეზებით სცადა შეეჩერებინა გემი სიგნალებით, მაგრამ ესეც უშედეგოდ გამოდგა: გემი არ ჩერდებოდა და განაგრძობდა თავის კურსს.

თუმცა, არსებული წესებიც ნახმად სანაპირო დაცვის საგუშაგოებს ყველა საფუძველი ჰქონდათ ეხმარათ ყველა სასროლო საშუალება და აეძულებინათ გემი შეჩერებულიყო, მაგრამ მიუხედავად გემის გამომწვევი საქციელისა, მოსაზღვრე საგუშაგო დაჯერდა იმას, რომ რამდენჯერმე გაისროლა შაშხანა გემის მილზე მაღლა დამიზნებით. მაშინ გემი ჩინეთის ნაპირისკენ წავიდა (ადს).

ჯოლეჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გაირღვევა

იგრძვინან ჩაის მაღალი ხარისხისათვის

სალიგაურის ჩაის ფაბრიკის დამკვრელმა მუშებმა და სპეციალისტებმა მიზნად დაისახეს ჩაის მწვანე ფოთლის თავის დროზე და მაღალხარისხოვნად გადამუშავება. ამ მიზნით მათ იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები: გადაამუშაონ 353 ათასი კილოგრამი მწვანე ფოთოლი, 388.000 კილოგრამი ნახევარ ფაბრიკატი, რომლებიდანაც უნდა მიიღონ **170.0000 კილოგრამი მაღალი ხარისხის ჩაი.**

ამასთან ერთად მუშებმა და სპეციალისტებმა იკისრეს ვალდებულება მოაწესრიგონ მწვანე ფოთლის შეუფერხებელი გადმოზიდვა მიმღები პუნქტებიდან, არ დაუშვან ფაბრიკის და მისი ცალკე მოწყობილობების გაცდენა.

უთაოგის შედეგი

ოზურგეთი (საქ. კორ.) ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელები არ ზრუნავენ ტექნიკური უშიშროების მოწესრიგებისათვის. 5 მაისს ჩაის საბრეს როლერების გორგალზე დავარცხდა მუშა გოთუა. ფაბრიკის ხელმძღვანელებმა ამის შემდეგაც კი არ გაუკეთეს საფარები ბორბლებს. პარტიულ კომიტეტსა და მუშკომს არავითარი ახსნა-განმარტება არ ჩაუტარებიათ ახალ მოსულ მუშათა შორის მანქანებზე უსაფრთხო ადგილას შეხების საშიშროების შესახებ.

ამის გამო უბედური შემთხვევა კვლავ განმეორდა.

ფაბრიკაში ამ ორი თვის წინად დადგეს ჩაის ხახმობი ღუმელი. ფაბრიკის ამუშავებამდე (5 მაისამდე) ეს ღუმელი არავის შეუმოწმებია ერთი კვირის შემდეგ, ე. ი. 12 მაისს ღუმელი გაჩერდა კბილანების დამტვრევის გამო. ახლა ირკვევა, რომ კბილანები თავდაპირველად დაზიანებული ყოფილა.

ჩაის ფოთლის გადაზიდვა 2-3 დღით გვიანდება

ჩხოროწყუ. მაისის განმავლობაში უნდა მოგროვდეს სულ 6.900 კილოგრამი მწვანე ფოთოლი. 10 მაისისათვის მოკრეფილია 4.140 კილოგრამი, გეგმის 60 პროცენტი.

ჩაის კრეფის ტემპებისა და ხარისხის მხრივ წინ მიდიან სოფ. ნაფიჩხუ, ხაბუმე, ნაკაბი, შედარებით ჩამორჩენილი აღიან სოფ. კორცხი (შესრულებული აქვს გეგმის 25 პროც.) და მუხუმა (29 პროც.).

ტრანსპორტის სიმცირეს გამო ვერ ხერხდება მოკრეფილი ჩაის დროზე გადაზიდვა. **მოკრეფილი ჩაი ხშირად 2—3 დღე რჩება საწყობში რაც საფრთხეში აყენებს პროდუქციის ხარისხს.**

საგანგებო „ხაჩარელის ჩაის“ დამატებით გადმოგზავნის ჩაის ფაბრიკას ავტომანქანა, რომ მოკრეფილი ჩაი შეუფერხებლად იქნას გადაზიდული ფაბრიკაში.

პრ. ქებურია

მეცხოველეობის სტატისტიკის და „პრავდაში“ გამართული დისკუსიის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

I

„პრავდის“ რედაქციამ სწორად დასვა თავის ფურცლებზე პირუტყვის სულადობის აღრიცხვის სრულად არადამაკმაყოფილებელი დაყენების საკითხი და მოითხოვა აღრიცხვის ნაკლოვანებების აღმოფხვრა და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღება:

1. პირუტყვის აღრიცხვის არსებული სისტემა არ იძლევა ზუსტ მონაცემებს სულადობის მთელი რაოდენობის შესახებ იმის გამო, რომ:

ა) სულადობის აღრიცხვა სტატისტიკურად კი არ არის ორგანიზებული, არამედ დამყარებულია უწყებათა ოპერატიული აღრიცხვის მონაცემებზე არასაკმაოდ დახარისხებულ შესწორებათა შეტანით;

ბ) ფინანსკომის საგადასახადო აღრიცხვა, რომელიც პირუტყვის დაბეგვრის და დაზღვევის მიზნებს ემსახურება, არ იძლევა პირუტყვის სრულ აღრიცხვას, განსაკუთრებით მთაგორიან საბჭოთა ნაპირებს; გემზე მყოფმა პირებმა აშკარად დაიწყეს საბჭოთა ნაპირისა და სანაპირო მცველი რაზმის საგუშაგოების ფოტოგრაფიული გადაღება.

საგუშაგომ ეს რომ შენიშნა, გემს წინადადება მისცა გაჩერებულიყო. გემის მეთაურმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა და ორ საათზე მეტ ხანს მიჰყვებოდა საბჭოთა ნაპირს. ამის შემდეგ საგუშაგომ გემს ორჯერ ესროლა ზემოდან. გემი გაჩერდა, საგუშაგომ გემზე სამჯერ დაცალეს უტყვიო ტოფი გაფრთხილების მიზნით. მიუხედავად ყოველივე ამისა, გემი განაგრძობდა თავის კურსს საბჭოთა ნაპირთან.

გემის სავალ გზაზე მყოფმა სანაპირო დაცვის მეორე საგუშაგომ იმავე მიზეზებით სცადა შეეჩერებინა გემი სიგნალებით, მაგრამ ესეც უშედეგოდ გამოდგა: გემი არ ჩერდებოდა და განაგრძობდა თავის კურსს.

თუმცა, არსებული წესებიც ნახმად სანაპირო დაცვის საგუშაგოებს ყველა საფუძველი ჰქონდათ ეხმარათ ყველა სასროლო საშუალება და აეძულებინათ გემი შეჩერებულიყო, მაგრამ მიუხედავად გემის გამომწვევი საქციელისა, მოსაზღვრე საგუშაგო დაჯერდა იმას, რომ რამდენჯერმე გაისროლა შაშხანა გემის მილზე მაღლა დამიზნებით. მაშინ გემი ჩინეთის ნაპირისკენ წავიდა (ადს).

შეჯიბრება, თუ... ხმაური?

(ზუგდიდი, ჩვენი სპეც. კორეს პონდენტისაგან).

ჯოლეჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ერთი ამბით გამოეხმაურა ოჩამჩირელ დამკვრელთა მიმართვას ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის და პლანტაციების კარგად დამუშავების შესახებ 6 მაისს ჩატარდა მუშათა და სპეციალისტების საერთო კრება. ბევრი ლამაზი სიტყვა ითქვა. დაიწერა ოქმი პრაქტიკულ ღონისძიებებით. ეს ღონისძიებები ჩაბარეს მუშათა კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. **კაპალიანს.**

მაგრამ უველაფერი ეს ჯერჯერობით ლიტონი დეკლარაციაა, „პატიოსანი“ ლაშქრობა აღმოჩნდა. კოპალეიშვილმა საერთო კრების ოქმი მაუდის ქვეშ ამოდო. არავის უფიქრია მუშაობის რამდენიმე გარდაჭრილზე. **არავინ იწუხებს თავს ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შემოწმებით. მუშაობის ხარისხი გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესდა...**

მეურნეობა მუშა-ხელის მწვავე ნაკლებობას განიცდის, 600 კაცის ნაცვლად მუშაობს 140 კაცი.

548 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან დღემდე მხოლოდ 27 ჰექტარია გათოხნილი. 510 ჰექტარი პლანტაცია სარეველა ბალახმა დაფარა და თუ დროზე არ ეშველა დაღუპვა მოელის.

მაისის განმავლობაში მეურნეობამ ფაბრიკას უნდა ჩააბაროს **780 კილოგრამი** პირველი ხარისხის მწვანე ფოთოლი. **ფაქტიურად ჩაბარებული აქვს 45 კილოგრამი და ისიც მეორე ხარისხის.**

მეურნეობაში ადგილი აქვს ჩაის მწვანე ფოთლის ხარისხის ხელოვნურად გაფუჭებას. ამასწინად 131 კილოგრამი ჩაის ფოთოლი უკურნელოდ ჩაყარეს სპბარგო ავტომანქანაში, რომლითაც მეურნეობა ბეწხინსა და ნავთს ეზიდება და გაუგზავნეს ჩაის ფაბრიკას. **ფოთოლი გზაში იმდენად გაფუჭდა (ბენზინისა და ნავთის სუნი მოეკიდა), რომ** ფაბრიკამ იგი მესამე ხარისხიანადაც არ მიიღო.

მეურნეობის ხელმძღვანელებმა და მნამავედ ამ საქმეში მხოლოდ აგროტექნიკოსი ჭირია „მიიწინეს“ და ამით დაკმაყოფილდნენ.

ნუ თუ ასეთი მუშაობით სურთ ჯოლეჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს (დირექტორი ამხ. **კოზირია,** პარტკომის მდივანი ამხ. **ხარებელია**) სოც შეჯიბრებაში პირველობის მოპოვება?

ალ. გვინჩიძე.

სამხრეთ-ოსეთმა შეასრულა თესვის გეგმა

სტალინისი, 16 მაისი. სამხრეთ-ოსეთის ოლქმა 14 მაისისათვის (გასულ წელთან შედარებით 17 დღით ადრე) 102,4 პროცენტით შეასრულა საგაზაფხულო თესვის გეგმა. **კოლმეურნეობებმა** თესვის გეგმა შეასრულეს 110,5 პროც., **საბჭოთა მეურნეობებმა**—107 პროც. და **ერთპიროვნულმა მეურნეობებმა**—95,8 პროც..

თესვა გრძელდება.

შეუდექით თავთავიანი კულტურების ნათესების სარეველა ბალახისაგან გაწმენდას, ვაწარმოებთ მოსავლის ასაღები მანქანა-იარაღების რემონტს.

საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის ოლქკომის მდივანი ი. ჟვანია.
ცაკის თავმჯდომარე ჯ. ახვლედიანი.

სოციალისტური შეჯიბრება ჩაის საბჭოთა მეურნეობებს შორის

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და სპეციალისტებმა ერთხმად მოიწონეს ორჩამურელ დამკვრელთა ინიციატივა ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირობა დადეს, რომ.

მტკიცედ დაიცავენ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის აგრონომიულ წესებს და უზრუნველყოფენ ჩაის მოსავლის მაღალ ხარისხს.

დაწესებულ ვადებში ოთხჯერ გათოხნიან ჩაის პლანტაციებს 178 ჰექტარზე, ორჯერ ჩაატარებენ პლანტაციების გახელვას, ხოლო იმ პლანტაციების, რომლებიც უფრო დანაგვიანებულია სარეველა ბალახი (სულ 200 ჰექტარი) გათოხნიან ხუთჯერ.

ამასთან ერთად მუშები და სპეციალისტები კისრულობენ ვალდებულებას, რომ მუდმივ მუშათა კადრს გაადიდებენ 50 კაცით და მუშათა კვების გასაუმჯობესებლად მოაწყობენ მერძეობის ფერმას.

ი. ბ—ია.

საწვავი მასალა ნიავდება

„საქართველოს ჩაის“ მეურნეობებში მომუშავე ავტოტრანსპორტი საწვავ-საზეთი მასალის ხარჯვაში არავითარ ნორმებს არ იცავს.

კილომეტრი გზის გარბენაზე **ავტომობილმა უნდა დახარჯოს ბენზინი არა უმეტეს 210 გრამისა. ჩაის საბჭოთა მეურნეობაში კი ბენზინის საშუალო ხარჯვა ერთ კილომეტრზე 272 გრამს უდრის.**

ამ მხრივ განსაკუთრებულ უყაირათობას იჩენს „ჩაიმომარაგების“ **ოზურგეთის** განყოფილება, სადაც თებერვლის განმავლობაში ავტომობილმა კილომეტრი გზის გარბენაზე დახარჯეს 1.017 გრამი ბენზინი.

სამრეწველო საზელოსნოებში კილომეტრი გზის გადარბენაზე ავტომობილები ხარჯავენ საშუალოდ 888 გრამ ბენზინს.

მეურნეობებში მოუწესრიგებელია საწვავი მასალის დაცვა-შენახვა. გარდა ამისა ბენზინის ხარჯვა წარმოებს ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე.

პარტიულ თემაზე

პროპაგანდისტი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა

(ზუგდიდი, საქ. კორესპონდენტისაგან).

სოფ. ჯიხისკარის პოლიტსკოლა ერთი მოწინავეთაგანია ზუგდიდის რაიონში. პროპაგანდისტის ენერგიული მუშაობით და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის შიერ სისტემატიური ხელმძღვანელობის გაწევის შედეგად პოლიტსკოლამ შეასძლო თვალსაჩინო წარმატების მიღწევა მარქსის-ლენინური თეორიით კომუნისტების და უპარტიო დამკვრელი კოლმეურნეების შეიარაღებისათვის ბრძოლაში.

მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავება 14 თებერვლიდან დაიწყო. სულ ღიმდე პოლიტსკოლაში 23 მეცადინეობაა ჩატარებული. **არ ყოფილა მეცადინეობის ჩაშლის არცერთი შემთხვევა.** პირველ აპრილიდან მეცადინეობა წარმოებს 5 დღეში ერთხელ. სკოლის მსმენელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი, დადეს ხელშეკრულება არ გააცდინონ არცერთი მეცადინეობა და საუკეთესონ შეითვისონ პოლიტმეცადინეობაზე დამუშავებული მასალები. ჯერ კიდევ შემოდგომაზე, როცა პოლიტსკოლაში მეცადინეობა დაიწყო, სოფ. ჯიხისკარის სკოლამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია უქლისკარის პოლიტსკოლა. შემოწმებამ, რომელიც იანვრის რიცხვებში ჩატარდა პირველობა ჯიხისკარის არგუნა. ჯიხისკარის პროპაგანდისტმა ამხ. **შალვა სიჭინავამ** ჯილდოდ მიიღო 50 მანეთი და 30 მანეთის ღირებულების ლიტერატურა მსმენელთათვის დასარიგებლად. ამან უფრო გაზარდა მსმენელთა ენტუზიაზმი.

პოლიტსკოლის საუკეთესო მსმენელებად ითვლებიან ამხ. **ბაგი ბენდელიანი, ი. სიჭინავა, ფაჩუ ზარანდია, ა. მიქავა, ე. ბენდელიანი.**

— ამხ. **სიჭინავა** გვეტყვის ვინ შეიძლება მივიღოთ თანამგრძნობთა ჯგუფში,—ეკითხება პროპაგანდისტი.—თანამგრძნობთა ჯგუფებში, უპასუხებს სიჭინავა, — მიიღებიან ისეთი პირები, რომლებმაც თავიანთი დამკვრელური მუშაობით (წარმოება ში იქნება, კოლმეურნეობაში თუ სხვაგან) ნამდვილად დაამტკიცეს ერთგულება პარტიისა და ხელისუფლებისადმი. ჯგუფები იქმნებიან პირველად პარტორგანიზაციებთან და ემორჩილებიან პარტიული ორგანიზაციების ყველა გადაწყვეტილებას. პარტიული ორგანიზაციების ყველა გადაწყვეტილებას. თანამგრძნობთა ჯგუფები უპარტიოთა მასებთან დამაკავშირებელი ახალი საშუალებაა.

ასევე კარგად აქვთ მსმენელებს შესწავლილი პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში, განსაკუთრებით სტალინის მოხსენების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია არტელზე, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად რგოლზე მიმდინარე პერიოდში. მსმენელები გარკვეული არიან, თუ რა პირობებია საჭირო კომუნებზე გადასვლისათვის. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ პროპაგანდისტი სერიოზულად ამუშავებს მსმენელებთან ყირილობის გადაწყვეტილებებს.

პროპაგანდისტ ამხ. სიჭინავას შეგნებული აქვს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება პროპაგანდისტს მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის დარგში.

ქ. ზერაზია.

მუშაობის გარდაქმნა სიტყვით

(ქუთაისი, საქ. კო. რესპონდენტისაგან)

„გავაკარით პლაკატები, გამოვუშვით გაზეთი, ჩავატარეთ საზეიმო სხდომა, ჟორჩა და გათავდა“, — უპასუხა ქუთაისის ფეხსაცმელების ფაბრიკის პარტკომის მდივანმა ამხ. ლაშქარაძემ კითხვაზე, თუ როგორ შეუდგა პარტკომი პარტიული მუშაობის ახლებურად გარდაქმნას.

ამხ. ლაშქარაძე, ფაბრიკის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი, ვერ ეკვევა საწარმოო საკითხებში. მას არ შეუძლია აბსნას მიზეზი ფეხსაცმელების საამქროს ჩამორჩენისა აპრილში, მიუთითებს მუშა-ხელის ნაკლებობაზე, „მგონი გვაკლია მუშა-ხელი“.

მერე რამდენი მუშა აკლია ფაბრიკას? — „არ მახსოვს“ — გულწრფელად აცხადებს პარტკომის მდივანი ეს „დაავიწყდა“ დირექტორს ამხ. ბარაბაძესაც.

ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ როგორც პარტიულმა, ისე სამეურნეო ხელმძღვანელმა არ იციან რა ვდგომარეობაა ფაბრიკაში მუშა-ხელის მხრივ. მაგრამ გეგმების შეუსრულებლობის მიზეზი მარტო მუშა-ხელის ნაკლებობა როდია. ამის მიზეზია აგრეთვე პარტკომის უუნარო და არაკონკრეტული ხელმძღვანელობა ძირეული პარტორგანიზატორების მიმართ. არავითარი ინსტრუქტაჟი და ხელმძღვანელობა, თუ რაგორ უნდა იმუშაონ მათ საამქროში, ბრიგადაში.

პარტიული ძალების არასწორად განაწილება წარმოადგინს გარღვევის ერთ-ერთ მიზეზს. მაშინ, როცა წუღების და ფეხსაცმელების თვითეულ საამქროში 6—7 კომუნისტია, სანთაროს საამქროში პარტიის არცერთი წევრი არ არის.

კომუნისტებს არ ეძლევათ პირადი პარტდავალებანი, მათ შორის არ იმართება კრებები და სხვ., ხოლო მდივნის ამხ. ლაშქარაძისათვის —„საპირველმაისო პლაკატების გამოფენა“ — ნიშნავს მუშაობის გარდაქმნას.

ფაბრიკაში არ წარმოებს თვითეული კომუნისტის შესწავლა. კითხვაზე — თუ რა მეთოდებით აწარმოებს იგი პარტიელთა შესწავლას —ლაშქარაძემ უპასუხა: „რაში მჭირდება მე კომუნისტების შესწავლა, როცა ყველა მათგანს მშვენივრად ვიცნობ, ისინი ჩემს თვალ-წინ მუშაობენ და აბა მეტი რა მოეთხოვებათ.

ამხ. ლაშქარაძე ძალიან ცოტას მუშაობს საკუთარ თავზე. მას აქვს ის ჯეროვნად არ შესწავლილი ამხ. სტალინის და კაგანოვიჩის მოხსენებები მე-17 პარტყრილობაზე.

ფაბრიკის პარტორგანიზაციას არ გარდაუქმნია მუშაობა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე. ეს მდგომარეობა მოითხოვს სათანადო დასკვნების გამოტანას.

საკ. კ პ. (ბ) მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის ხიმდინარეობის შესახებ

26 კომუნარის სახელობის რაიონში

(საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია 26 კომუნარის საბ. რაიკომის მდივნის ამხ. იშხანოვის მოხსენების გამო)

ტფილისის კომიტეტის პლენუმი ალნიშნავს, რომ, მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა **26 კომუნარის** საბ. რაიონში მე-17 **ყრილობის** გადაწყვეტილებათა შესწავლის მხრივ, (ძირითადად ყველა კომუნისტის ჩაბმა პარტგანათლების ქსელში, სკოლების მეცადინეობაზე დასწრების პროცენტის ზრდა, პროპაგანდისტების სემინარების მოწყობა, პროპაგანდისტთა დენადობის შემცირება და სხვ.), პარტიული განათლების ქსელში მუშაობის არსებული დაყენება მაინც ვერ უზრუნველყოფს იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანების რეალიზაციას, რომლებიც საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობამ დასახა პარტიული რიგების იდეურ - პოლიტიკური შეიარაღების დარგში.

რაიონის პირველად **პარტორგანიზაციებში** მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის დაყენება აქამდე არ არის გარღვეული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 22 აპრილის დადგენილებასთან შეფარდებით.

მთელ რიგ საწარმოებში გარეგნი ფორმებით გატაცებამ (ოჯახების სიარული, პოლიტომი და სხვ.) გამოიწვია ყურადღების **შესუსტება** სწავლების ხარისხისადმი, ძირითადი რგოლის — პოლიტსკოლის მუშაობისადმი.

უაღრესად სერიოზულ დეფექტს მუშაობაში წარმოადგენს ის, რომ მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა არ არის დაკავშირებული წარმოების კონკრეტულ პრაქტიკულ ამოცანებთან ადგილებზე, რის გამო პროპაგანდა განყენებულ ხასიათს ღებულობს, სუსტად რაზმავს კომუნისტებს ყრილობის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სამეურნეო - პოლიტიკური ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში.

რაიონის პროპაგანდისტული კადრების თეორიული და მეთოდიური მომზადება დაბალ დონეზეა. რაიკომთან მოწყობილი პროსემინარიები ვერ უზრუნველყოფენ პროპაგანდისტებისათვის ყოველდღიური დახმარების გაწევას **მათ** მუშაობაში. სრულიად არასაკმაოა ადგილობრივ მუშა - პროპაგანდისტების ფენა, რის გამო გრძელდება რაიონის პროპაგანდისტთა კადრების დენადობა.

სრულიად არასაკმაოა პარტგანათლების ქსელში უპარტიოთა ჩაბმის პროცენტი (10—15 პროც.). მასალების ჯგუფური წაკითხვა მიმდინარეობს ფორმალურად და მშრალად კონსულტაციისა და (ოჯახთან მაგალითებზე განმარტების გარეშე. მთელ რიგ საწარმოებში სკოლების დაკომპლექტება არ შეეფერება მომზადების დონეს. ენის (ოჯახის და ცვლათა მუშაობის პირობებს.

ტფილისის კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაეკალოს **26 კომუნარის** საბ. რაიკომს უმოკლეს ვადაში გარდაჭრილად შეიქმნას პარტორგანიზაციებში მუშაობა მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის დარგში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 22 აპრილის გადაწყვეტილებასთან შეფარდებით და ყურადღების ცენტრში დაიყენოს ყრილობების მასალების შეთვისების ხარისხი. იმ მიზნით, რომ მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა დაკავშირებულ იქნას წარმოების კონკრეტულ ამოცანებთან, დაეკალოს პროპაგანდისტებს ყოველმხრივ შეისწავლონ სათაო საწარმოთა მუშაობის პირობები და ამოცანები. მეცადინეობის ლექციური მეთოდის ნაცვლად; რომელიც აქამდე იყო გაბატონებული, შემოღებულ იქნას ცოცხალი საუბრის მეთოდი და სკოლების მეცადინეობის დროს, გაირჩეს ყრილობის ძირითადი მასალები, დედებში.

2. პროპაგანდისტთა თეორიული და მეთოდიური მომზადების ამაღლების მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი: ა) განტვირთულ იქნან ისინი ყოველგვარი დამატებითი დატვირთვისაგან და დაეკალოს მათ გულდასმით მოემზადონ თვითეული მეცადინეობისათვის; ბ) დაეკალოს ყველა პროპაგანდისტს, უქლებლივ სისტემატიურად დაესწრონ პროპესმინარების მეცადინეობას, სადაც უნდა აეყენებდენ მათთვის გაურკვეველ თეორიული და მეთოდიური ხასიათის ყველა საკითხს; გ) პროპესმინარების მუშაობა განყენებულ — აკადემიური ფორმებიდან გადაყვანილ იქნას კონსულტაციურ - მეთოდიურ ფორმებზე, რომელნიც უზრუნველყოფენ პროპაგანდისტებისათვის ყოველდღიური ცოცხალი პრაქტიკული დახმარების გაწევას. დაეკალოს პროპესმინარების ხელმძღვანელთ გაეცნენ პროპაგანდისტების მუშაობას ადგილებზე, რათა ის ვისი მეცადინეობა დაესურათონ ცოცხალი, პროპაგანდისტებისათვის, ახლობელი მაგალითებით; დ) ერთი თვის ვადაში ჩატარდეს რაიონის პროპაგანდისტთა კადრების ზედმიწევნით შემოწმება და კადრების შესავსებად მოეწყოს ადგილობრივი მუშა - პროპაგანდისტების მოსამზადებელი და გადასამზადებელი დამატებითი საზაფხულო კურსები; ე) სანიმუშო მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით მოწინავე საწარმოებში, რომლებსაც უნდა მიბაძონ დანარჩენებმა, შემაგრებულ იქნან მათზე წრეების ხელმძღვანელებად ტფილისის კომიტეტის, რაიკომის ინსტრუქტორები, აგრეთვე უფრო მეტად მომზადებული ადგილობრივი ხელმძღიანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები; ვ) პარტკომების და რაიკომის მდივნები უშუალოდ უნდა ამოწმებდენ პროპაგანდისტთა და პროსმინარიების ხელმძღვანელთა მუშაობას, პერიოდულად უნდა ისმენდენ და ადგილობრივად სწავლობდენ პოლიტსკოლების და წრეების მუშაობას.

3. მსმენელთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უახლოეს პერიოდში: ა) შიმოწმებულ იქნას სკოლების დაკომპლექტება, მოისპოს შემადგენლობის სხვადასხვაგვარობა მომზადების დონის, ენის (ოჯახების მიხედვით ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; ბ) დაეკალოს ამოღება უნდა შეადგენდეს: მაისში — 1.829 ათას ტონას; ივნისში — 1.792 ათას ტონას; ივლისში — 1.830 ათას ტონას; აგვისტოში — 1.891 ათას ტონას; სექტემბერში — 1.869 ათას ტონას; ოქტომბერში — 1.922 ათას ტონას; ნოემბერში — 1.860 ათას ტონას; დეკემბერში — 1.963 ათას ტონას.

მეორე კვარტალში გაბურღილ უნდა იქნას არა ნაკლებ 230 ახალი ჭაბურღილისა, მესამე კვარტალში არა ნაკლებ 200 ჭაბურღილისა მათ ეწოდებათ ექსპლოატაციაში თავის დროზე გაშვებით.

ჭაბურღილების არსებული ფონდი მოუვანილი უნდა იქნას სათანადო წესრიგში. საჭიროა მათი ეწესპლოატაციის სწორი რეჟიმის უზრუნველყოფა. საჭიროა აგრეთვე კომპრესორთა არსებული პარკის სრული და უზრუნველყოფა და უზრუნველყოფა ტექნიკური ლონისძიებათა სისტემისა, რომელიც ადგილებს მათ ნაყოფიერებას. საჭიროა გარკვეული ბრძოლა ნავთის გაწყლიანების და გაჭუჭყიანების წინააღმდეგ.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს ბურღვის სისწრაფის შეუწყნარებელ ჩამორჩენას თანამედროვე ამერიკულ სიჩქარეთაგან. ეს შედეგია ბურღვის ტექნიკის არასაკმაოდ დაუფლებისა და, უმთავრესად, შედეგია იმის, რომ ხაბეჭოთა ქარხნებში არ მზადდება თანამედროვე მაღალხარისხოვანი მოწყობილობა. ნავთის მრეწველობის მუშაკებს ჯერ კიდევ ორიენტაცია აღებული აქვთ მზომი ხელსაწყოების და მილებზე იმპორტზე და საბჭოთა მანქანათმშენებლობაზე. წინაშე მთელი დაბეჭდვითები არ აიყენებენ მოთხოვნას ნავთის მრეწველობის მთელი საჭირო მოწყობილობის დამზადების შესახებ.

მჭიდე მრეწველობის სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლევა ორი თვის ვადაში შეიმუშაოს ღონისძიებათა სისტემა საბჭოთა კავშირის საწარმოებში ახალი ტიპის მოწყობილობათა (პრივენტორების, საკონტროლო-ზომი ხელსაწყოების, ფასონური ხატების, მძლავრი სატალახო ტუმბოების, სპეციალური მარკების ბაზრით და მამაგრი მილების, მძლავრი კომპრესორები და სხვ.) მასობრივი წარმოების ათვისებლად, აგრეთვე დასახოს ღონისძიებანი ნავთის სპეციალური მოწყობილობათა ბაზის გაფართოებისათვის.

ამოღებული ნავთის გადამუშავებს და ნავთობის გამგზრავალე პროდუქტების რაოდენობის გადიდებას უზრუნველყოფს მიზნით, აზნავთს ქარხნების ტრესტს (მთავარი ეწესპლოატაციის სტრუქტურა) წინადადება მიეცეს დაამთავროს 5 ატმოსფერულ მოლაკს მზე ნებლობა 1935 წლის 1 აპრილისათვის, ორი კრეკინგისა — 1935 წლის 1 მარტისათვის, ზეთსაწმენდი ქარხნების მესამე და მეოთხე სექციისა — 1934 წლის 15 აგვისტოსათვის.

ავტოტრანსპორტიდან ნავთობის მხატვრების მაქსიმალური შენარჩუნების იზოლირებისათვის უნდა ჩატარდეს მსობრივი ნავთობის მომცემი ჭაობიანობების ჰერმეტიზაცია. პირველ ყოვლისა კალახა და ლოკატანაში და ბურღილების ჰერმეტიზაცია აქ რაიონებში მთლიანად დასრულდეს 1934 წლის განმავლობაში. ყველა კრეკინგ-ქარხანაში 1934 წლის მანძილზე აგებულ უნდა იქნას გაზმეჭერი დანადგარები.

მჭიდე მრეწველობის სახალხო კომისარიატი წელსვე (მე-3 და მე-4 კვარტალებში) ვალდებულია მოაგვაროს ნავთის ჭარხნებისათვის ამ მოწყობილობის და მასალების გამოშვება, რომლებიც დღემდე საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს.

დადგენილებაში აღნიშნულია პარტიულ-მასობრივი მუშაობის არასაკმაო გაშლა უშუალოდ სარეწაოებზე.

ც. კ ამ დაავალა ა-კ სამხარეო კომიტეტს, აზერბაიჯანის კ.პ.(ბ) ც. კ-ს და ბაქოს კ-ს გაზალონ პარტიულ-მასობრივი მუშაობა ძაღლებსა და ინჟენერ - ტექნიკურ მუშაკებს შორის ნავთის ამოღების გეგმების აუცილებლად შესრულების და დახასულ რეორგანიზაციის უსწრაფესი დამთავრების საკითხების ირგვლივ და ამავე დროს უადრესად გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს ჩამორჩენილობის განწყობილებებთან და გარდაქმნისათვის წინააღმდეგობის გაწევასთან.

ც. კ-ი გამოთქვამს რწმენას, ნათქვამია დადგენილებაში,—რომ ბაქოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკები გასულ წლის მაგალითისამებრ მთლიანად შეასრულებენ ნავთის ამოღების დასახულ პროგრამას და უმოკლეს ვადაში შეავსებენ მიმდინარე წლის პირველი თვეების დანაკლისს.

ც. კ-მა დაამტკიცა ამხ ორჯონიკიძის ბრძანება მეორე და მესამე კვარტალებისათვის ნავთის მრეწველობის მატერიალური და ტექნიკური მომარაგების შესახებ.

აზნავთის და აზნავთშვერვის მიერ საწარმოო პროგრამის და ახალი რაიონების ათვისების პროგრამის შესრულების უზრუნველყოფისათვის, წინადადება მიეცა მჭიდე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სათანადო მთავარ კომიტეტებს და ტრესტებს გამოყონ აზნავთისა და აზნავთშვერვისათვის, გარდა უკვე გამოყოფილი რეზერვებისა, კიდევ დამატებითი ფონდები, ტკეცილი ლითონისა, სავაზე მილებისა და ვიწრო ლიანდაგიანი რელსებისა ამ მჭიდე მრეწველობის სახალხო კომისრის ა-წ. 11 მაისის ბრძანებაში აღნიშნული რაოდენობით. ამავე დროს აზნავთს ეძლევა 2.500 ტონა შინოტის ცეცხლგამძლე აგური, 270 ტონა კარბიდი, აგრეთვე რეზინის დვედების, ავტოფეხსაცმელის, კანაფის ბაგირის და სხვ. საჭირო რაოდენობა.

ქ ხავენერგომრეწვს წინადადება მიეცა მთლიანად უზრუნველყოს სათანადო ნაშთ ლარის და ტიპის ელექტრო მოტორებით, ტუმბოები და კომპრესორები, რომლებიც აზნავთისა და აზნავთშვერვისათვის მზადდება.

ყველა ხელშეკრულება აზნავთისა და აზნავთშვერვისათვის გამოყოფილი დამატებითი მოწყობილებისა და მასალებზე დადებულ უნდა იქნას ერთი დეკადის ვადაში.

მჭიდე მრეწველობის სახალხო კომისარიატი და გზათა სახალხო კომისარიატი ვალდებული არიან უზრუნველყონ გამოყოფილი ფონდების თავისებური გაგზავნა და გადახდა ტკირთნიშნებით გეგმით დაწესებულ ფარგლებში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

აზნავთის მუშაობის შესახებ

ხაკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის მუშაობის შესახებ. მოღებულ დადგენილებაში პაპიტის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ აზნავთმა და ბაქოს პარტორგანიზაციამ საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს ნავთის მრეწველობის ტექნიკური შეიარაღების გადიდების, ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების დაწინაურების და ნავთისთვის ბრძოლველად მ ნავთობ და ანთენერ-ტექნიკოსთა მობილიზაციის გზით, რაც ჩატარდა ცენტრალური კომიტეტის მიერ ყოფილ გაერთიანება აზნავთის დაშლის შესახებ შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამას მოწმობს ნავთის ამოღების ზრდა: 1934 წლის 4 თვის განმავლობაში ამოღებულ იქნა 46,5 პროცენტით უფრო მეტი ნავთი, ვიდრე გასული წლის სათანადო პერიოდში. ბურღვის მხრივ მიღწეულ წლის პირველი კვარტალის შედეგები 87,5 პროცენტით აღემატება შარშანდელს.

